# ივერია

**სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

1877—1893

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვორონცოვის ქანდაკების პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893


**გრიგოლ ივანეს ძე აბაზაძე და კნეინა ნატალია ბაგრატიონ-დავითიშვილისა შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა: პირველი საყვარლის მეუღლისა, მეორე—ასულისა და დანარჩენნი—დისა თვისისა—**ნინო ედიშერის ასულის აბაზაძისას** და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ შაბათს, 17 აპრილს, მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ საკუთარ სახლიდამ დ. სურამში.

---

## ივერიის რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

---

გამგე კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის ამით აცხადებს, რომ წლიური კრება ამ საზოგადოების წევრთა დანიშნულია მდგომარე აპრილის 22-სათვის საღამოს შვიდს საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის შენობაში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი კითხვები:

ა) ანგარიში წარსულის წლისა.

ბ) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა.

გ) რა გამოარკვია გამგე კომიტეტმა მოწვეულ პირებთან საერთო მსჯელობის შემდეგ იმ საკითხის გამო, თუ რა სახით მოეწყოს მომავალში ტფილი ის სათავად-აზნაურო სკოლის საქმე.

დ) მოსაზრება გამგე კომიტეტისა იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვონ საკუთარი სადგომი სათავად-აზნაურო სასწავლებლისათვის.

(3—2)

---

სახელმწიფო თეატრი

კვირას, 18 აპრილს

ქართულ თეატრის არტისტი

**ვ. ა. აბაშიძე**

გამართავს წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება

I

ა ლ ი ა ქ ო თ ი

**კეთილ-შობილ ოჯახში**

კომედია-ფარსი 3 მოქმედ. თარგ. აბაზაძისა.

II

მეოთხე მოქმედება დრამიდამ

**და ტერეზია**

ა ნ უ

მონასტრის ზღუდეთა შორის

თარგ. ა. ცაგარლისა

მ ო თ ა მ ა შ ე ნ ი: ქ-ნნი აკალიშკილისა, მელიქიშვილისა, არლანი, სარიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, აღამიძე და სხვ.

დ ა ს ა ს რ უ ლ

**დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი**

მონაწილეობას მიიღებენ სხვათა შორის ბ-ნები პეტროსიანი, იკერიელი და შათირიშვილი.

ანტრაქტებში ორკესტრი დაუკრავს

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი 8½ საათზედ

---

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მის კანცელარიაში 14 აპრილიდამ ყოველ დღე შეიძლება მიღება დამატებითის საარჩევანო სიებისა 1893—1897 წწ. ხმოსნების ამომრჩეველთა ტფილისში.

(3—2)

---

ტფილისი, 15 აპრილი

არა ერთხელ და ორჯელ გვითქვამს, რომ ჩვენი მხვნელ-მთესველი და ჩვენი მიწის მომვლელი უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდება უმამულობის გამო, თუ დროზედ მთავრობამ ყურადღება არ მიაქციაო. გვითქვამს და ხშირადაც გვილაპარაკნია ამ საგნის გამო, იმდენად ხშირად, რამდენადაც-კი გარემოებას ნება მოუცია, რომ ამ საქმის შესახებ საბუთები გამოგვექვეყნებინა. დღესაც საჭიროდ მიგვაჩნია ისევ ამავე საჭირ-ბოროტო საქმეს შევეხოთ.

ვინ არ იცის ეხლანდელს დროში, რომ სახელმწიფოს უმთავრესი ძალ-ღონე გლეხობა და მისი ნივთიერი კეთილ-დღეობაა. თუ გლეხი გაღარიბდა, ოჯახი დაექცა, სახელმწიფოც შეფერხდება, წინ ვეღარ წავა. როგორც ერი ვერ იეროვნებს, როცა სულს დაჰკარგავს და სულიერ საუნჯეს გამოეთხოვება, ისე სახელმწიფო ვეღარ იხელმწიფებს, როცა მისი უმთავრესი ძარღვი—ზღვა გლეხკაცობა—დასუსტდება. ეს ისეთი ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ მისი უარ-ყოფა მხოლოდ განგებ დაბრმავებულს თუ შეუძლიან. ის დრო სამუდამოდ წავიდა, როდესაც იუსტიციის მინისტრად ნამყოფი გრაფი პანინი ამბობდა, რომ რუსეთი თავდება მეთოთხმეტე კლასით, ესე იგი: კოლლეჟსკი-რეგისტრატორს იქით, მის ჩამოდაღმა, რუსეთში აღარავინ არის ყურადღების ღირსი და, მაშასადამე, „მუჟიკისთვის“ ზრუნვა სულ მეტიაო.

დღეს უპირველესნი სახელმწიფო კაცნი და მსწავლულნი რუსეთისა აი სწორედ ამ პანინისაგან მასხარად აგდებულ გლეხისთვის ჰზრუნავენ განუწყვეტლივ და თან იმასაც ამბობენ, რომ თუ დროზე მისი ნივთიერი კეთილ-დღეობა არ მოვაწყეთ, თუ მალე საკმაო მამული არ მივეცით, სახელმწიფოს კეთილ-დღეობა ისე შეირყევა, რომ შემდეგში, შეიძლება, ვეღარც-კი დავაყენოთ ფეხზედაო. ახლად დანიშნულმა სახელმწიფო ქონებათა გამგემ ბ-ნმა ერმოლოვმა პირდაპირ აღიარა, ჩემი უპირველესი მეცადინეობა ის იქნება, რაც შეიძლება მალე, ხელი მოვუმართო სოფლის გაჭირვებულ მეურნეობას და დაძაბუნებულ გლეხობასაო.

ღრმად მოხუცებულს სენატორს ნ. პ. სემიონოვს, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა საგლეხო დებულების შესადგენად უმაღლესის ნებით დანიშნულ სარედაქციო კომისიებში და რომელმაც დასწერა სამს დიდ წიგნად ისტორია გლეხთა განთავისუფლებისა, ამ დღეებში დაუბეჭდია პატარა წიგნაკი და იქ ამბობს, რომ სახელმწიფომ უმთავრესი ყურადღება გლეხობას უნდა მიაქციოსო; ბევრი გაკეთდა ამ ოც-დაათს წელს, მაგრამ უფრო ბევრი დარჩა გასაკეთებელიო. ორთა შუა რიცხვით გლეხს უნდა ჰქონდეს, სემიონოვის აზრით, არა ნაკლებ თხუთმეტის დღისა; სადაც არ ეყოფა მიწა, იქიდან გლეხობა უნდა გადაასახლოს მთავრობამ და სამყოფი მამული მიუზომოსო. ამასთანავე ბ-ნი სემიონოვი იმეორებს ცნობილ მოღვაწის იური სამარინის აზრს, რომ სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს მამულის პატრონთაგან სახნავ-სათესი მიწები, უსასყიდლოდ დაურიგოს გლეხობას და სამაგიეროდ შეაწეროს ყოველ წლიური მსუბუქი გარდასახადიო. ამ სახით მამულ-დედული იქნება სახელმწიფოს სრული საკუთრება, ხოლო გლეხი—მუდმივი მისი მფლობელი; მიზომილ მიწას ვერავინ ჩამოართმევს, ვერცა რავის მიჰყიდის, რაც უნდა გაჭირვება ჰქონდეს, და ჩარჩებიც ხელიდან ვეღარ დასცინცლავენ მის მსაზრდოებელს სახნავ-სათესს მინდორს.

სამწუხარო ისაა, რომ თვით კანონი *) ხელს უწყობს სოფლის სხვა-და-სხვა გაიძვერას და ჩარჩს ხელ-ცარიელი დასვას მუშაკი გლეხი მამულისაგან. კანონის ძალით, გლეხს აქვს უფლება თავისი წილი მამული საკუთრებად დაინარჩუნოს, თუ ერთბაშად შეიტანს ხვედრს ფულს. საჭირო ფულსკი ჩარჩი თავის ჯიბიდან აძლევს მის აბლაბუდაში გაბმულს გლეხს, მამულს საკუთრებად უმტკიცებს და შემდეგ თავის სახელზე გადააქვს, რადგან, სამოქალაქო კანონის ძალით, ყველას ნება აქვს, საკუთრება ისე მოიხმაროს, როგორც ენებება.

რუსეთის გლეხობას დიდი ზა-

*) 165 მუხლი ადგილობრივის საგლეხო დებულებისა.

---

# ფელეტონი

## ამილახვართა ისტორიის მასალად

წერილი II *)

ის-ის იყო საქართველო უნდა აღგვილიყო მონგოლთა მძლავრებისაგან, მეტადრე ლანგ-თემურის შვიდგზის აოხრების შემდეგ, რომ თვით იგი მძლავრება მონგოლთა დაუძლურების გზას დაადგა. მათგან აკლებულ-აოხრებული ქართლი ისევ ნანგრევებისა და შემუსვრილებათა სანახაობის მეტს არას წარმოადგენდა, ჯერ ლანგ-თემურის საფლავის მიწა დამჯდარიც არ იყო (ლანგ-თემური მოკვდა 19 იანვარს 1405 წ.), რომ მცირე აზიაში გაძლიერებულ ოსმალთა იწყეს მოძრაობა საქართველოს დასაპყრობად კლარჯეთის მხრივ **). ოსმალთა პოლიტიკა საქართველოს შესახებ დამყარებული იყო ღვარძლისა და მტრობის ჩამოგდებაზედ შორის ერისთავთა და მეფეთა, რომ შინაურის ბრძოლით დაუძლურებულნი უფრო დაუბრკოლებლივ დაემონავებინათ.

სწორედ ამ შავ-ბნელიან დროდან იწყება სასიქადულო ისტორია ამილახვართა გვარისა. საზოგადოდ ამ გვარის დასაწყისი თუმცა ნაჩვენებია 1465 წ., მაგრამ უეჭველნი ისტორიულნი საბუთნი გვარწმუნებენ, რომ ზევდგინისძეთ სახლის უფროსი კაცი უფრო წინად ყოფილა მოურავად გორისა, ამილახორად, სპასალარად ქართლისა—მემარჯვენედ მეფისა და 1465 წ. შემთხვევისა გამო ეგ ღირსებანი მხოლოდ მეფისათვის თავდადებულ თაყა ზევდგინისძის (ვახუშტის თქმით, იოთამის) შთამომავლობას მიჰკუთვნებია საბოლოვოდ.

ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავსა ვიფიქროთ რომ ჯანიბეგი რომელზედაც მუხრანს დაბანაკებულმა თემურ-ლანგმა გაილაშქრა 1400 წ.—არის ამილახვარი (ზევდგინისძე) და მოურავი გორისა, ხოლო ციხე გურჯიბეგი, რომელიც თემურმა აიღო 1402 წ.,—გორის ციხე (იხ. ვახუშტ. ისტ. 295 გვ., შენიშ. დ. ბაქრაძისა), და რომ ჯანიბეგი არის მამა თაყასი. გიორგი მეფე VII რომ მოკვდა (1406 წელს), საქართველოს მეფობა მიიმძლავრა მისმა ძმამ, კონსტანტინემ; ხოლო გიორგის პატარა შვილი ალექსანდრე, ნამდვილი მემკვიდრე მეფობისა, მისმა ბებიამ ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე რუსამა და დარბაისელმა ბარათამ წაიყვანეს—გაარიდეს ათაბაგ ივანესთან (1391—1444 წ.) სამცხეში მცირე-წლოვან თაყა ზევდიგინიძესთან ერთად, რომელსაც ბარათა ჰზრდის და ჰპატრონობს. ამ დროს ამილახორად ავთანდილი (ბიძა თაყასი) ადგენს თავის ძმისწულს მამისას, როგორც მომხრე კონსტანტინე მეფისა. ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად თაყამ გაატარა «ხუთი წელიწადი ღარიბობისა» (1407—1413 წ.) ათაბაგ ივანესთან, მომავალის ბედის შემაცქერალმა. კონსტანტინე რომ ოსმალებმა ჩალაღანს მოკლეს (ვარძიის მახლობლად), ალექსანდრე ჩამოვიდა ქართლში და გამეფდა—1413 წ. დამლევს. ალექსანდრე ამილახორობას და გორის მოურაობას ჩამოართმევს მამისას და უბოძებს თაყას, თავის ერთგულს. ალექსანდრე რომ დამკვიდრდა საქართველოს მეფედ, თავის შვილს ვახტანგს შერთო ცოლად ქალი ფანასკერტელისა სითი-ხათუნ, დაჲ თაყასი. ხოლო მეორე ქალი ფანასკერტელისა შერთო თაყა ამილახორს და უფრო სარწმუნოდ გაიერთგულა. თვით ალექსანდრეს მეუღლე თამარი იყო დაჲ იმერეთის ერისთავისა. ამ ნაირად ალექსანდრე დამოყვრებით უერთგულებს თავის ოჯახსა და სამეფო ტახტსა მტკვრის გაღმა-გამოღმა დიდებულთა. ესრეთი პოლიტიკა ალექსანდრესი გამოიწვია თურქთა გაძლიერებამ კლარჯეთისაკენ: მათ გადიბირეს აფხაზეთი, იმერეთის ერისთავი და თვით ივანე ათაბაგიცკი. ეს უკანასკნელი ალექსანდრემ ტყვედ შეიპყრო 1415 წ. კოხტისთავს ომის დროს *), მაგრამ სამეფოს ინტერესების გულისათვის ღალატი შეუნდო და ისევ დაადგინა ათაბაგად. ალექსანდრემ დაიმშვიდა გამდ-

*) I წერილი იხ. ივერია № 237, 238. 1891 წ.

**) მეტადრე მას შემდეგ, რა-კი კონსტანტინეპოლი აიღეს 1453 წ. და მთელი ვიზანტიის ავლა-დიდება ისე ადვილად ხელთ იგდეს.

*) ალექსანდრეს ნამდვილი მეფობა იწყება ამას შემდეგ. დაიბადა 1389 წ., გამეფდა 1416 წ., მიიცვალა 1443 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალი მოუტანა ამ დამღუპველმა წესმა; ბევრი დარჩა უმამულოდ და ოჯახი გაუცივდა. სტავროპოლის გუბერნიაში, მაგალითებრ, თითო სულს მიეცა ნადელად 19 დესეტინა, ანუ 38 დღიური, და დღეს ათს პროცენტს გლეხობისას ერთი ნაჭერი მიწაც აღარა აქვს.

ასეთის კანონის უვარგისობა და ნაკლია მიზეზი, თუ რუსის გლეხს ისეთი ბუნება იქვს, რომ საკუთრებას ვერ იშვნევს და მისი ყადრი არ იცის, ამის განხილვას არ გამოვუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ დღეს ეჭვ გარეშეა ის გარემოება, რომ მთავრობა გულმოდგინედ სცდილობს, საკმაო მამული მისცეს გლეხს და თან ისეთი წესებიც შემოიღოს, რომ მამული ხელიდან არ წაუვიდეს.

რუსეთის გლეხს ასე გაუჭირდა საქმე მამულის სიმცირით, სიცოტავით, თუმცა ცნობილია, რომ ერთი ათად მეტი მიეცა იმას ნადელში, ვიდრე ჩვენს გლეხს; მაშ რა მოგველის ჩვენ, რა მოელის ჩვენს გლეხ-კაცობას, თუ მალე არ მივხედეთ ამ საქმეს; თუ მალე არ შევუდექით ამ საჭირ-ბოროტო საქმის შველას!?

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების შემდეგ, შეუდგა იმ საქმის განხილვას, შეიძლება თუ არა იმ ადგილებში, სადაც-კი მოხერხდება, სახელმწიფო ხარჯი, ფულის მაგიერად, პურით მოვკრიბოთო.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

16 აპრილს—საქმე ელისაბედ საფაროვისა, რომელსაც ბრალდება, რომ თავის ქმრის მოკვლა განიზრახა, და საქმე გრიგოლ პეშკოვისა, რომელმაც განიზრახა მოკვლა თავის ცოლისა.

28 აპრილს — საქმე ვლადიმერ ავალიანისა. ბრალდება მოკვლა ქიტოევისა და დაჭრა ნათიშვილისა.

*** ტფილისის ქალაქის მოურავს უცნობებია ბ-ნ გუბერნატორისათვის, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ქალაქის გამგეობას არ ეკითხება, სად როგორ დასხას ბოძები ტელეფონისაო. ზოგან ისეთს ვიწრო ქუჩებში სხავენ ბოძებს, საცა ისედაც გაჭირვებულია სიარული ხალხისა და ეტლებისაო. ამას გარდა, სასურველია, რომ შესამჩნევ ქუჩებზე, ხის ბოძების მაგიერ, თუჯის ბოძები დასხანო.

*** ტფილისის ქალაქის მოურავსვე ფიქრად აქვს განაკარგოს განათება ქალაქისა და ამ აზრით უნდა გადაადებინოს საბჭოს 5,000 მან. წელიწადში და ამ ფულით ეხლანდელ ლამპრების მაგიერ, უკეთესის სისტემის ლამპრები დაადგმევინოს. ამ ფულით შეიძლება 500 ლამპარი დაიდგას. სულ რიცხვი ფარან ლამპრებისა-ტფილისში 2000. მაშასადამე, დიდი ხანი არ გავა, რომ ეხლანდელი უვარგისი და ოდნავ მბჟუტავი ლამპრები ბევრად უკეთესებით შეიცვლება.

*** გუშინ, ნაშუადღევს ორ საათზედ, ტფილისის მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერი წაბრძანდა სოფელ ხაშმში საზოგადოების ვენახის გასაშენებლად.

*** გუშინ-წინ, 14 აპრილს, ტფილისის მაზრის უფროსს აცნობა ბოქაულმა ლუკოვსკომ, რომ 26 წარსულს მარტს ალალარის ჰაჯი-ალამურსაყულოვის მამულში, სოფელ ორთაშუას, ალბულაღს ახლოს, დაკარგული დარაჯად მყოფი, სოფელ დალეთხაჩინის გლეხი მიხეილ აკოფის ძე გეურქოვი 12 აპრილს გლეხებმა იპოვეს მოკლული მურსაყულოვის მამულშიო.

*** ორმოც-და-ათ წევრს გორის თავად-აზნაურობისას შეუტანია ჩვენს საადგილ-მამულო ბანკში წინადადება, რათა შალიკაშვილის სკრის მამული, რომელიც ბანკს დარჩა, დაჩქარებით დამტკიცებულ იქმნას სათავად-აზნაურო სკოლის სახელზედ და შემდეგ დაარსდეს იქ სამეურნეო სასწავლებელი.

*** მოგეხსენებათ, რომ წარსულს კვირას, 11 აპრილს, კრება იყო ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. კრებაზე დიდი ლაპარაკი და კამათობა ჩამოვარდა, მეტადრე განაღდებულ კუპონების კვლავ განაღდებისა დ ხაზინადარ ტიგრანოვის გამო. ხაზინადარი ხმის უმეტესობით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ. როცა მესამე დღეს საზოგადოების გამგეობამ მოსთხოვა ხაზინადარს, ჩაგვაბარე კასსაო, ხაზინადარმა მიჰმართა პროკურორს და შეატყობინა ყოველივე გარემოება კუპონებისა. პროკურორმა დაბეჭდვინა კასსა და დაიწყო გამოძიება იმ ბოროტ-მოქმედებისა, რომელიც აღმოჩნდა ამ საზოგადოების საქმეთა წარმოებაში.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ 14 აპრილს, საღამოს 6 საათზედ სოფ. მამუკიანის მცხოვრებლებს და ქარათარიდან მიმავალ მწყესებს საბალახოზედ ჩხუბი მოსვლიათ. ამ ჩხუბში ერთს მწყემსს მოხვედრია თავში კეტი და იქვე სული დაულევია. ორი მათგანი, მძიმედ დაჭრილიცა და დამნაშავენიც შემოსწრებულ ჩაფარებს წაუყვანიათ მაზრის სასამართლოში.

*** აბაშა (ქუთაისის მაზრა): ჩვენს სოფელში მრავალ გვარმა გადამდებმა სენმა იჩინა თავი წელს. ჯერ ინფლუენცა იყო, თუმცა ულონო-კი; წლის დამდეგს იყო ხველა-ყივილა, ანუ ყივანა-ხველა, ეს ყმაწვილების მტერი მოარული. მოჰკლა სამი ბავშვი და გაგვეცალა. ამას გარდა გაჩნდა კისრის ავადმყოფობა, რომელსაც აქ „კისერ-ბატონებს“ ეძახიან. ბოლოს სახადიც გვეწვია, თუმცა მძვინვარებით არ მძვინვარებს.

მარტმა თოვლი ხომ მოგვიტანა, დიდი წვიმებიც ზედ დაურთო. ისე ადიდდა რუ და მდინარენი, რომ ბევრგან წისქვილები გაგვიფუჭა. მაგრამ რას იზამთ, ტყუილად არ უთქვამთ: თუ მარტმა იტიროს, კაცმა იცინოსო. 23 მარტს, თუ არ ვსცდები, აქ ცოტაოდნად მიწა იძრა. იქნებოდა სწორედ შუა-ღამე.

*** ბათუმი: კვირაცხოვლობა დღეს დიდი ბურთის თამაშობა გაიმართა. ბურთაობდნენ გურულნი და მეგრელნი. წინა-პირველად გამარჯვება უფრო მეგრელთ ეტყობოდათ. მაგრამ მერეკი ისევ გურულებმა გაიმარჯვეს. ბურთის თამაშობაში ერივნენ ხონელებიც და აქაური ქართველი ინტელეგინტებიც. როცა გაჭირდა საქმე, დასძახეს გურულებმა „კე იმას“! ბურთი გაიშალა. ერთმა გურულმა ხელთ იგდო, გაშპა და კიდეც გაიტანა „ლელო“. გამარჯვებულნი დალონდნენ და სევდის გასაქარვებლად სამიკიტნოებს მიჰმართეს. შეიქმნა ბახუსის ტრფიალი, რომელსაც ხანჯლის ტრიალი მოჰყვა და ერთი მოქეიფეთაგანი დასჭრეს კიდეც.

*** იქიდგან: ერთი სასიამოვნო ამბავი აქ ის არის, რომ აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ქ-ნ სევერინის თაოსნობით და თავმჯდომარეობით არსებობს საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომელიც ზოგხელობით უფასო სასადილოს ჰმართავს ღარიბ-ღატაკთათვის. წელს, რაკი ხოლერის მოლოდინია, ქ-ნი სევერინისა განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ამ სასადილოს და დიდი მნიშვნელობაც ექნება, დასტურ, თუ მართლა ხოლერა გვესტუმრა. სასადილო, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას.

*** გაზ. «ნორ-დარსა» სწერენ გუმბრიდამ, რომ მოუსავლობამ დიდ გასაჭირში ჩააგდო ხალხიო. უჭირთ ქალაქ ალაგებშიაც და სოფლადაცაო.

*** „Т. Л.“-ს, სწერენ დეპეშით ერევნიდამ, რომ განსვენებულ კათალიკოზის მაკარ I-ის მხლებელს აკოფ აბრამიანს ოლქის სასამართლომ გადუწყვიტა თავის პატრონის ქონების მითვისებისა და მოპარვისათვის არესტენტების როტებიო. ჩისი დის-წული ბეკო პეტროსიანი-კი გამართლებული იქმნაო.

*** 13 აპრილს რკინის გზის კონდუქტორს ალექსანდრე კალანდარაშვილს „ზოლოტოი იაკორის“ სასტუმროში 1,000 მანათამდე ნივთეულობა და ფული მოჰპარეს ქუთაისის მაზრის მცხოვრებელთ ალექსანდრე კახიანმა და იოსებ ნარიშელაშვილმა. დამნაშავენი შეიპყრეს.

*** 14 აპრილს აზიზ სარქისოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ოჯახ მამადოვი წამეჩხუბა, ცული დამკრა თავში და დამჭრაო. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე შეიპყრეს.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნა პოდპოლკოვნიკი გოგნიაშვილი შტაბის უფროს ადიუტანტად. დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ კაპიტანი თ. ჯანდიერი პოდპოლკოვნიკის ჩინით, მუნდირითა და პენსიით. გზოძა პორუჩიკს თ. ორბელიანიძეს შტაბს-კაპიტნობა, პორუჩიკობა პოდ-პორუჩიკს ნიკოლოზის აკადემიის შტაბისას მახვილაძეს უფროსობითურთ; შტაბს-კაპიტნობა—ანთაძეს, პორუჩიკობა უფროსობით გარდაფხაძეს, იგივე ბეგიევს, მანსვეტოვს და თ. თავდგირიძეს.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება

(14 აპრილი)

გუშინ-წინ, საღამოს $7^1/_2$ საათზე, საყურადღებო კრება ჰქონდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას. კრებას დაესწრო 30 წევრი საზოგადოებისა და ამდენივე არა წევრი. კრებამ ჯერ მოისმინა მოხსენება შესახებ იმისა, რომ ამიერ კავკასიის ზოგიერთ მაზრებში (მაგალითად, სიღნაღის, თელავისა, ახალ-ქალაქის, ახალ-ბაიაზეთისა და გუმბრისაში), წრეულ ძლიერ ცუდი მოსავალი ყოფილა, როგორც პურისა, აგრეთვე შინაურ საქონლის საკვებავ ბალახისა; ასეთ მოუსავლობის გამო, როგორც ადგილობრივ გაზეთებში სწერენ, სიმშილობა ეხლავე ჩამოვარდნილა აღნიშნულ მაზრებში, უფრო-კი თელავისა და სიღნაღისაში, და სამეურნეო საზოგადოებამ-კი ჯერ არა იცის-რა ამის შესახებო. კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა: აღნიშნულ მაზრებში ეხლავ გაიგზავნოს ბ-ნი ი. ალიბეგოვი და ბ-ნი ს. ა. მელიქ-სარქისოვი შემდეგ ცნობების შესაკრებად:

---

გარნი—აფხაზეთიც და ყარაბაღიც, და თათართაგან შემუსრვილნი ტაძარნი რამდენსამე წელიწადს ციხეებიანათ სრულიად განაახლა; ამისათვის კომლზე სამი კირმანეული (კირმანეული ექვსი შაური) შეაწერა მთელ სამეფო სამის წლის განმავლობაში. უკანასკნელ (1442 წ.) ბერად შედგა და მეფობა თავის შვილს ვახტანგს დაულოცა.

ალექსანდრე თავის მეფობაში მთლად ზევდგინისძეთა საგვარეულოს მფარველობს და, თუმცა თაყა წინა ჰყავს წამოყენებული, არავის იმდურებს. ამავე პოლიტიკას დაადგა ვახტანგიც. მაგრამ ოსმალთა და ათაბაგ ივანეს ზედმოქმედებით იმერეთის ერისთავ დიმიტრისთან, თავის ლვიძლ ძმასთან, მოუხდება ომი ვახტანგს და თუმცა გაიმარჯვებს, მაგრამ ვახტანგის ქვისლი თაყა ამილახორი ტყვედ დარჩება ხელთ დიმიტრის და რამდენსამე თთვეს ქუთაისშია და ამ დროს გორის სამოურავოს განაგებს მამისა ზევდგინისძე (ბიძაშვილი თაყასი). ივანე ათაბაგი კვდება 1444 წ. და ვახტანგი დაადგენს ათაბაგად სახელოვანს აღბუღას, რომელიც ქართლის მეფეებთან ერთად გულწრფელად იბრძვის წინააღმდეგ სამეფოს განხეთქილებისა და ოსმალთა გაძლიერებისა. მაგრამ აღბუღას ებრძვის მანკიერი და გაიძვერა ყვარყვარე (ბიძა აღბუღასი). იგი მოიბირებს მესხთა, გამოსდევნის აღბუღას და თვით გაათაბაგდება, მაგრამ ვახტანგს შემდეგ გამეფებული გიორგი IX (1445—1469 წ.) განსდევნის ყვარყვარეს და ისევ აღბუღას გააათაბაგებს. აღბუღა კვდება 1351 წ. და გიორგი მეფე, იძულებითა დიდებულთა და იმერეთის ერისთავისათა, ყვარყვარეს ადგენს ათაბაგად. თაყა ამილ ხორი ამ დროს დიდს ერთგულებას უწევს სამეფოს... ოსმალთაგან და ყვარყვარესაგან ზურგ გამაგრებული ბაგრატი იმერეთის მეფედ შეიქმნება; ამისათვის გიორგი მეფე ეძრძვის ბაგრატს, მაგრამ ამაოდ: სასტიკის ბრძოლის შემდეგ დამარცხებული გიორგი სამცხეში გადადის და მესხთა შეწეობით ყვარყვარეს განსდევნის. ამ ომში თაყა ამილახორის წინამძღოლობით ზევდგინისძეთა საგვარეულო დიდად ისახელებს თავსა და დამარცხებულს გიორგი მეფეს გადაარჩენენ დატყვევებასა და ცოცხალი გამოჰყავთ ომიდან. თაყას ერთ-ერთ ძმისწულს №, მამისასძეს, „ოც-და-ოთხი შუბი, ისარი და კრმალი ესო“ და ესრედ დაკოდილმა „მეფე გიორგი წამოიყვანა“. ამავე დროს გიორგი მეფე ორგულებას შეჰსწამებს მამისას შვილებს—ზაალს და №-ს და აიძულებს ბაგრატისაგან დატყვევებულ აზნაურიშვილთა განთავისუფლებასა. ამისათვის შეიპყრო ზაალი და მისს ძმებს ემუქრება: „თუ დატყვევებულ აზნაურშვილებს არ განთავისუფლებთო, ზაალს ქურუმში (?) მივსცემო“; მერე ატყვევებს ზაალის ძმასაც და უბრძანებს—„ალონს წამომყე და შენს სამკვიდრო მამულს ისევ მოგცემო“ *). № ზევდგინისძე სთანხმდება, იახლება მეფეს ალონში და ამ გზით ზაალსაც ანთავისუფლებს და სამკვიდრო მამულებსაც იბრუნებს. ამ დროებშივე გიორგი მეფე ებრძვის ოსებს (რასაკვირველია, რეხის ხეობაზედ, ჟამურამდე, სადაც იმ ხანებში მბრძანებლობდა ღაზნელების საგვარეულო), რომელთაც სოფელი სხვილო (ცხვილო) **) მოაოხრეს მთლად და ერთის კოჭლის ქალის მეტი არ გადარჩენოდათ ცოცხალი. გიორგი მეფის ბრძანებით სულმამა ზევდგინიძე „სხვილოსურ კოჭლ ქალს“ ირთავს და იმკვიდრებს სხვილოს არემარეს. მეფე გიორგი ამას შემდეგ გაილაშქრებს საათაბაგოსაკენ და ოსმალებთან ბრძოლის დროს ზევდგინიძის საგვარეულოდგან მოიკლის ოც-და-ცხრა ვაჟ-კაცი და ერთსაც დაატყვევებენ. ყვარყვარე და ბაგრატი, ოსმალთ ჩაგონებით, რამდენჯერმე მიუჩენენ მოღალატეებს გიორგი მეფეს მოსაკლავად, მაგრამ ამაოდ: ზევდგინის ძენი სათუთად დასტრიალებენ თავის საყვარელ მეფეს. 1465 წ. გიორგი მეფე თაფარავანის ტბასთან არის დაბანაკებული ყვარყვარეს დასასჯელად; მაგრამ გაიძვერა ყვარყვარე ჩვეულებრ შეუჩენს მოღალატეებს ჭუკაშვილის მეთაურობით. ამ უკანასკნელმა საიდუმლო გაანდო № ზევდგინისძეს (ვახუშტის თქმით, იოთამს), რომელმაც მაშინვე მეფეს ამცნო. მეფეს არა ჰსჯეროდა. № ზევ-

*) ჩვენის აზრით ალონი არის ალაზნის გაღმართი ნუხამდე, ძველი ალვანია. ეს მხარე, მართლაც განდგა მეფის მორჩილებისაგან 1452 წ. მეფე გიორგიმ ჩაიარა კახეთი, გავიდა კაბალზედ და ურჩნი კვლავ დაიმორჩილა. იხ. ვახ. ისტ. 303 გვ.

**) ცხვილოსის ნასოფლარი, დიდნი პალატნი და დარბაზნი ვრცელ ბურჯებიან გალავანში, ძველი ჯვარ-პატიოსნის ეკკლესიით და აღმოსავლეთიდან მაღლიდან გადმომყურე მშვენიერი მხცოვანი ცხვილოს ციხით ეხლაც სასიამოვნო სახილველია და მდებარეებს ს. ჰალის აღმოსავლეთით სამ ვერსტზედ. ცხვილოს ციხიდამ სჩანს მტკვარ გაღმა-გამოღმა ქართლი, სურამი და ტფილისიც-კი მოწმენდილ ცაზე.

1) თითოეულ ზემოდ აღნიშნულ მაზრაში როგორი მოსავალი ყოფილა?

2) როგორ ფასობს პური ზემოხსენებულ მაზრებში?

3) რა დროს ითესება ამ მაზრებში პური და ქერი?

4) კიდევ რა ითესება ამ მაზრებში?

5) ტფილისიდან რა ეღირება პურის გადატანა აღნიშნულ მაზრების შუაგულ და უმთავრესს ადგილებამდე?

6) საქონლის ჭირი არის თუ არა? თუ არის, რამდენად ძლიერია და რა მიზეზებისაგან გაჩენილა?

ყოველ ამ ცნობების შესაკრებად გასაგზავნ კაცებს უნდა მიეცეს ხარჯად სულ 225 მანეთი. ამასთანავე კრებამ საჭიროდ სცნა კავკასიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობას მიჰმართოს და სთხოვოს, რომ მოუსავლობით დაზიანებულ მაზრებში მყოფ მოხელეებმა გამოუგზავნონ სამეურნეო საზოგადოებას ზემოდ აღნიშნულნი ცნობანი, ხოლო თვით საზოგადოებამ მიჰმართოს მაგ მაზრებში მცხოვრებ ზოგიერთ მემამულეთ და იმათაც სთხოვოს ამავე ცნობების შეკრება. როცა ცნობები შეიკრიბება და გამოირკვევა ეხლანდელი მდგომარეობა მოუსავლობით დაზარალებულ გლეხთა, მაშინ სამეურნეო საზოგადოებამ ყოველივე ღონისძიება უნდა მოიპოვოს, რომ გლეხებს ხელი გაუმართოს.

შემდეგ კრებამ მოისმინა ტფილისის მაზრის უფროსის თხოვნა, თ. ჯანდიერი სთხოვს საზოგადოებას, გამომიგზავნეთ მინდვრის თაგვების გასაწყვეტი, ლეფლერის მიერ აღმოჩენილი წამალი, ბაცილები, რადგანაც ტფილისის მაზრაში თაგვი უკვე გაჩენილა. კრებამ გადასწყვიტა: რადგან გერმანიიდგან ეხლახან მივიღეთ თაგვის სახადის ბაცილები და სამკურნალო ლაბორატორიას ჯერ არ უცდია, ამიტომ თ. ჯანდიერის თხოვნას ჯერ ვერ ავასრულებთო.

ბოლოს კრებამ მოისმინა მოხსენება ბ-ნ ხ. ა. ვერმიშევისა შესახებ იმისა, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ჟურნალის მაგიერ ჰბეჭდოს საკვირაო სამეურნეო გაზეთი. ბ-ნმა ვერმიშევმა ამასთანავე წარუდგინა საზოგადოების კრებას ვრცელი პროგრამმა სამეურნეო გაზეთისა.

კრებამ მოიწონა მოხსენება ბ-ნ ვერმიშევისა და გადასწყვიტა: 1) სამეურნეო გაზეთისთვის რედაქტორი ვიშოვოთ; 2) რედაქტორს 8 თთვის განმავლობაში, მაისიდან წლის დამლევამდე, 500 მანეთი ჯამაგირი მიეცეს; 3) გაზეთისთვის, რედაქტორის ჯამაგირიანად, წლის დამლევამდე 2500 მანეთი გადიდოს; და 4) სამეურნეო საზოგადოებამ, გარდა ჟურნალისათვის გადადებულ ფულისა, 1000 მანეთი კიდევ უნდა სთხოვოს მთავრობას, თუ ბ-ნ ვერმიშევის აზრი ეხლავე განხორციელდება.

ამ საქმის გამორკვევა და გარდაწყვეტა კრებამ კომისიას მიანდო; კომისიის წევრებად ამოარჩიეს: ბ-ნნი კლინგენი, ქალანთარი, გეევსკი, მარკგრაფი და ევანგულოვი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი**, 12 აპრილი. სიცივემ ბალახი მოშუშა. საქონელი ძლიერ შეწუხებულია უბალახობით. შენახული საკვები საქონლისა ყველას გამოელია. გომბორის მცხოვრებელთაგან ათასში ერთი ჰყიდულობს თივას და იმასაც მამა-სისხლად: ურემი თივა ოც-და-ხუთიდამ ოც-და-რვა მანეთამდის ადის. ცხვარი ფარეხს გასცილდა, მაგრამ წელში ვერ გაშლილა, ცალკე სიცივისაგან და ცალკე უსაჭმლობისაგან. ამ დროს ფოთოლით შემოსილი იყო ხოლმე ნახევარზე ტყე, ახლა ისე გადატიტვლებული, როგორც ზამთარში. თუ ახლო არ მიხველ, ვერ შეატყობ, რომ ხეს სასიცოცხლოდ გამოუღვიძნია.

მამულოვმა ორჯელ მოიტანა პური და მოგვაგდო ქვა, თუმცა როგორც ამბობენ, ათასი თუმანი გადასდო, უნდა პურს ეზიდოს და ისე ჰყიდოს, როგორც დაუჯდებაო. არ ვიცი, რა მიზეზი აბრკოლებს, რომ არ ასრულებს ასე სახალხოდ დაქადებულსა? კარგი იქნებოდა მოედანზედ აღეკრძალათ ზოგიერთაისთვის სყიდვა პურისა; მეტად სარგებლობენ მით, რომ მოედანის ამბავი კარგად იციან: გამოაქვთ ფქვილი მაშინ, როცა გამოილევა და ფასს უმატებენ. ასე მომატებული ფასი დიდხანს რჩება იმათთვისაც, რომელნიც უეჭველად ნაკლებ გაჰყიდდნენ, ეს ფასი რომ არ დაჰხვედროდათ მოედანზედ. ისეთს ხორცს გვაჭმევენ ჩვენი ყასბები, რომ პატრონი გვყვანდეს, აგვიკრძალავდა ჭამას.

გუშინ-წინ, 12 აპრილს, აქ ერთს ქვევრიდგან ღვინო მოჰპარეს თორმეტ ჩაფამდის. იპოვნეს პატრონებმა ქურდები და დღეს პოლიციამ ქურდებსავე აჰკიდა ტიკები, ჯერ პოლიციის სადგომში მიატანინა და მერმე იქიდგან პატრონთან წაალებინა. სწორედ სასაცილო და მასთან სამწუხარო სურათს წარმოადგენდნენ ეს ქურდები, ტიკებ აკიდებულნი, რომ ორჯელ გაატარეს და გამოატარეს თელავის ბაზარზე. წარმოიდგინეთ ოთხი მოსული, მხარ-ბეჭიანი, სიცოცხლით სავსე ბიჭი, 25—28 წლისანი, რომელთაც ზურგზე ტიკები ჰკიდიათ, მოდიან, უკან მოსდევენ დესეტნიკები და მთელი ბაზარი თავზედ დასდევიათ, და უეჭველად იკითხავთ: რად უნდა ქურდობდნენ ესენიო? ამ კითხვის პასუხი ფრიად ვრცელია და მხოლოდ საგულისხმიერო!

9 აპრილს თელავში კრება იყო მევენახეთა ამხანაგობისა. საკვირველია, მოთავენი იმისთანა დღეს ჰნიშვნენ კრებას, როცა ასში ხუთს არ შეუძლიან დასწრება. არა სჯობია ყველასათვის სამჯობინარი უქმე დღე ამოირჩიონ? თითქო ერიდებიან დამსწრეთა სიმრავლესაო.

**ქ. სიღნაღი**, 12 აპრილი. სიღნაღს რის დარდი აქვს: მოვა მოსავალი, სიხარულით აღარ არის; არ მოვა კიდევა და—უფრო მხიარულობს. ერთსაცა და მეორე შემთხვევაშიც ადვილად ახერხებს იოლად წასვლას, ქონების შეძენას. ამისი უნარი და შნო სიღნაღს დიდი აქვს. ერის გაჭირვებაცა და ლხენაც—ამისთვის დღესასწაულია, ქორწილია, აღდგომაა. აი როცა მოუსავლობით ხალხს გაუჭირდა, სიღნაღს ყოველივე ბევრი აქვს და სისხლის ფასად აძლევს ეს ქალაქი თავის მაცხოვრებელ მაზრას ლუკმა პურს და სწველის ოსტატურის მოხერხებით.

სიღნაღი გათქმულია ვაჭრობით და დიდი შემოსავალიცა აქვს ამ ვაჭრობის წყალობით. კვლავ ამ დროს ბაზარი სავსე ყოფილა ვაჭრებით. დილიდან მოკიდებული შუა დღემდე და ხან საღამომდინაც სავსე იყო ხოლმე ხალხით დუქნები; ვერც-კი ასდიოდნენ მუშტარს. ეხლა? ეხლა აღარავინაა. დიდი უმუშტრობაა. თითო-ოროლა დუქანში თუ დაინახავთ, ორიოდე დედაკაცს. მაშ სად არის ხალხი მთელის მაზრისა? იქნება ხვნა-თესვაზე არიან? არა. იქნება ვენახებს აშენებენ? არა. იქნება სხვა-და-სხვა შინაურს საქმეზე არიან? არა და არა. მამა კაცები, ვისაც-კი შეეძლო და შეუძლიან მუშაობა, გადაცვივდნენ სამუშავოდ: რკინის გზებზე, ქვის მტვრევაზე, გზების მოკეთებაზე და სხვა. დედაკაცები და მოხუცნი პატარა ბალღებით დგანან ატუზული მეფქვილეების დუქან წინ და ელიან ჯერს, როდის ეღირსებათ ჯერი ფქვილის ყიდვისა.

აგერ ადგა დილა-ადრიან და გათენებისას მოვიდა მშიერი გლეხ-კაცი სიღნაღს ფქვილისთვის, მოვიდა მედუქნესთან იმ იმედით, რომ ყველაზე ადრე იყიდის ფქვილს და გაუდგება გზას, მალე მიაშველებს ცოლშვილს. მაგრამ დახე ბედს! იმაზე უფრო ადრე სხვები მოსულან ფქვილისთვის. ბოლოს ეღირსა და იყიდა ფქვილი, მაგრამ რა ფქვილი? სიმინდისა, ფეტვისა, ქერის ფქვილი და ქატო ერთმანეთში დომხალივით არეული. ფუთში-კი რვა აბაზი მისცა! კარგია თუ გლეხ-კაცს ფული მაინც აქვს, რომ ასე ძვირად იყიდოს სარჩო. ამას წინად ერთი კარდენახელი გლეხი ამბობდა, ვიშოვე ფული, ღმერთმა უშველოს მავანს კაცს, იმან მომცა სამი თუმანი. ოთხ თთვეში თუმანი აიღო სარგებელი; ნაცნობია, შეპურ-მარილე კაცია, თორემ არ მომცემდა.

როგორ მოგწონთ! ოთხ აბაზზე მეტს სარგებელს აძლევს თუმანზე თვეში და კიდევ უხარიან, ემადრიელება, ფულის პატრონს, რომ ასე იაფად იშოვა. ოთხის თთვის შემდეგ, ე. ი. მკათათვეში პური უნდა მისცეს ფულის პატრონს, კოდი მანათად. რომ არც ამ წელს მოუვიდეს პური, მაშინ? მაშინ ხომ ყმად გაუხდება ფულის პატრონს სამ თუმანში. ამაზე მეტს უკიდურეს მდგომარეობამდე კიდევ გინდათ მივითეს ხალხი?

წელს შირაქის მინდვრებს უჩივიან, თითქმის ნახევარი მოსცდაო, და უნდათ მომცდარ მიწებში ხელ-მეორედ ფეტვი დასთესონ და, თუ წელსაც შარშანდელი დღე დაადგა სიღნაღის მაზრას, აბა, მაშინ ჰნახეთ ხალხის დაქსაქსვა. მომეტებული ვენახები შეუმუშავებელი უყრიათ, ვერა ხვნენ გაზაფხულის მოსავლისათვის, საქონელი დაცვივდა, საჭმელი არა აქვთ, ბალახი არ არის, სულ კუდით აყენებენ დაცვივნულ საქონელს. ერთმა ვაქირელმა კაცმა შეაბა შვიდი უღელი საქონელი გუთანში; აუკიდეს გუთანი თუ არა, საქონელი ულონობის გამო დაეცა და ისევ გამოუშვეს. ცხვარი გაწყდა მომეტებული ნაწილი და რაც დარჩა, ისიც ცხვარს აღარა ჰგავს სიჯანდაკისაგან! გლეხ-კაცს რომ გაუჭირდება, ჰყიდის საქონელს და მით იბრუნებს სულს. ეხლა რაღასა ჰყიდის გლეხკაცობა საქონლის სამაგიეროდ? ჰყიდის მამულს, ნაფუძრებს, ვენახებს. ჰყიდის სავენახეს, ან სასახლე ალაგს, ანუ სახნავს მიწას. მაშ რა ვქნა, ცოლ-შვილი მეხოცება შიმშილითაო. მიწებზე მიმდგარა საქმე და ჯერი. იმ მიწებსა ჰყიდიან, რომელიც, ვინ იცის, რა შავის დღითა და ვაი-ვაგლახით აქვთ ნასყიდი და შეძენილი.

აგერა აპრილი ნახევრდება და ჯერ სიღნაღში ბალიც არ აყვავებულა ფარსაგად, ისე ცივა. მიუხედავად ამისა, რომ ასე საშინლად ცივა, მაინც ჩვენმა ქალაქის მმართველებმა მიაქციეს ყურადღება ქალაქს და მცხოვრებთა კარმიდამოების გასუბთავებას; სანიტრები და მკურნალი დადიან ეზოებში და შინჯვენ ეზოებს და ასუბთავებინებენ. უფრო მეტი ყურადღების მიქცევა ეჭირვება წმ. სტეფანის უბანს და ბაზარს. ბაზარს ფეხის ადგილები არა აქვს. ამის გამო ბაზრის ჰაერი საშინლად მოწამლულია. წმ. სტეფანის უბანი კიდევ მჭიდროდ არის დასახლებული, არა აქვთ გზები, არა აქვთ საღვარე და სანაგვე ადგილები. ცალ-ფეხა ჩილიკებია და ისიც ნაგვით სავსე. ნამეტნავად გზები თხოულობს გაფართოებას, მაგრამ ყურის მგდებელი-კი არავინ არის. ერთის ეზოდან მეორემდე ძნელად თუ გადავა კაცი, რომ არა იტკინოს-რა.

შარშანდელმა ხოლერიანობამ დაგვანახა, რომ თურმე საშინელს უსუბთავობის მორევში ვცხოვრობდით. ბევრი ჯიბე-სქელი ბატონე-

---

დგინის ძე (ჩვენის აზრით, თაყა ამილახორი) მეფის საგებელში დაწვა, ხოლო მეფე სხვა ტანისამოსით შორიდან იყო მზირალი აღსასრულისა. მოღალატენი შევიდნენ მეფის კარავში და „მწოლვედ დაკოდეს ზევდგინის ძე" და, ის კი იყო, უნდა მოეკლათ, რომ ზევდგინიძეობა გაუგეს აღარ მოკლეს (დაჭრილობისაგან მოკვდა მალე). ამისათვის მეფე გიორგიმ „ნასისხლად მიუბოძა მღვიმე თვისითა სასაფლაოდ, ახალციხე სამოცი კვამლი კაცით, ხუთი დახატული ჩარდახი მოწყობილი უბოძა სისხლად". მეფე ესრეთის ერთგულობისათვის № ზევდგინიძის ორს შვილს აძლევს სამკვიდროდ მამულს—მდ. ლიახვიდამ ქსანამდე ერთის მხრივ და მტკვარსა და კავკასიის ქედამდე მეორე მხრივ.

ზევდგინისძეთა გვარი დიდს მეცადინეობაშია მშვიდობა დაამყაროს საქართველოში და მით აღადგინოს ერთ-მთავრობა. მეფე გიორგის შესარიგებლად ყვარყვარესა და ბაგრატთან მამისას ძე № ზევდგინისძეს სამი წელიწადი უვლია ცხენით, მაგრამ ვერასა ხდება. ყვარყვარე მეფე გიორგის ტყვედ ინარჩუნებს (1465 წ.) და მისი შეურიგებელი კვდება (1466 წ.). რაც ვერ მოახერხეს ზევდგინის ძეთა ყვარყვარესთან, იგი მოახერხეს ბაადურ ათაბაგთან, როელმაც განთავისუფლა გიორგი მეფე და, ქვეყნის საკეთილდღეოდ, მორჩილებაც-კი აღუთქვა.

გიორგი მეფის ტყვეობის დროს ბაგრატმა, იმერეთში რომ ფეხი მაგრა მოიკიდა, ქართლშიაც გაბატონდა და აი ამ დროს უღალატა ზევდგინის ძეთა ერთმა შტომ მამა-პაპის ნაანდერძევს: ეყმო ბაგრატსა და უარ-ჰყო გიორგი მეფე № მამისას ძე ზევდგინისძემ თავის ძმა ზაალთან ერთად. № ზევდგინის ძე საიდუმლოდ წინადადებას აძლევს თავის ძმას დავითს (ამილახორს)—„თუ ბაგრატის ყმა არ შეიქმნები, ჩვენი მამული ერთიანად ხელიდამ გამოგვეცლებაო". დავითი თავის ძმის რჩევისამებრ ბაგრატს უცხადებს ერთგულობასა და სამკვიდრებელს მთლად იბრუნებს; მხოლოდ გორის მოურაობა არ განუახლა ბაგრატმა, ვიდრე ასი კოკა ღვინო არ გამოართვა დავით ამილახორს ძმიანათ, (რა-კი გიორგის ერთგულნი დიდებულნი ბაგრატმა დაამდაბლა). ბაგრატის ესრეთს მძლავრებას შეალია თავისი დღენი სამეფოსათვის წამებულმა გიორგი მეფემ და მოკვდა 1469 წ.

მისი მემკვიდრე კონსტანტინე ულონო იყო ბაგრატთან ებრძოლნა. მაგრამ ბაგრატის გაძლიერება არ ეპაშნიკებოდათ მოსაზღვრე ოსმალებსა და მათის ჩაგონებით ვამეყ დადიანი განდგა ბაგრატის მორჩილებისაგან, მიიმხრო აფხაზნი, გურიელი (1477 წ.). ბაგრატმა ძვირად დაუსო დადიანს და სხ. ურჩება და კვლავ იმორჩილა და დიდის ჯარით ქართლში გადმოვიდა. ამ დროს საქართველოს შემოესია უზუნ-ასან ყეენი სპარსეთისა, მაგრამ, ნაცვლად საერო მტერთან ბრძოლისა, ბაგრატმა ზურგი შეაქცია და რაჭისაკენ გაეშურა: იგი გაგეშილი იყო თავის ღვიძლ ძმებთან ბრძოლად და მოყვასთა სისხლისა ღვრად და არა მტერისა. ესრეთმა ქცევამ ბაგრატისამ ბევრი რჩეული შვილი განაშორა მამულსა და ამსახურა მტრის გასამხარო პოლიტიკასა; მისმა და ყვარყვარეს ბრძოლამ გიორგი მეფესთან გააძლიერა ოსმალთა გავლენა და ნიადაგი მოუმზადა საათაბაგოს დასაპყრობად.... ბაგრატი რაჭაში გადავიდა და „გორის ციხეში დგომა და გამაგრება მიანდო დავით ამილახორს", მაგრამ—ვაი თუ მიღალატოსო, დავითი თან წაიყვანა და გორში მტრის დახვედრა დავითის ძმას სულმამას მიანდო. კონსტანტინე მეფე, შემდეგ თავ-განწირულის ბრძოლისა, იძულებული იყო უზუნ ასანთან (მისვე წინადადებით) მისულიყო და მორჩილება გამოეცხადებინა. უზუნ-ასანმა, მუხრანში დაბანაკებულმა, ქართლი მთლად აიკლო, აიღო გორი და სულმამა ზევდგინიძე დაატყვევა, რომელიც გამოიხსნა № ამილახორმა (თაყასძემ), კონსტანტინეს მომხრემ. სულმამას დასახსნელად № გადიხადა 2200 თანგა (თანგა=5 კ.), ანუ 110 მანათი. უზუნ-ასანი წავიდა თუ არა, გადმოვიდა ბაგრატი და დაწიოკებულ ქართლს დიდი ხარჯი შეაწერა, მაგრამ მალე მოკვდა (1478 წ.). ამ წელსვე მოკვდა უზუნ-ასანიც. ამის გამო კონსტანტინე მეფე გაძლიერდა და მასთან ერთად თაყა ამილახორის შთამომავლობაც. ხოლო დავითი და მისნი ძმანი დაამდაბლა, ვითარცა ორგულნი თვისნი. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ დავითის ძმების შთამომავალნი არიან დღეს თ. გურამიშვილები *).

პ. ცხვილოელი.

*) ამ წერილთან ვგზავნით ხუთს გუჯარს (საიდამაც ჩვენ ვისარგებლეთ), დაწერილებს არა უგვანეს 1470—1479 წ. და მეტად დაზიანებულებს. გუჯრებით №, მამისას ძე ზევდგინის ძე, წინაპარი გურამიშვილებისა, სჩივის—რად წავხდითო, ამილახორი რატომ წილს არ გვაძლევსო. ეს გუჯრები ნაწილია იმ გუჯრებისა, რომელთ აღმოჩენას განსვენებული დ. ბაქრაძე ნატრობს (იხ. ვახ. ისტ. 307 გვ. 1 შენიშ.).

ბიც ჩააბძანეს უსუფთაობის წყალობით, სადაც ჯერ იყო. ბევრსაც კარგა ბლომა ჯარიმა გადაახდევინეს სანიტარების კანონიერ მოთხოვნილების აუსრულებლობისათვის. ღმერთმა ბრძანოს და სასურველიცაა, რომ ეს უსიამოვნობა აღარ გაუმეორდეთ და დაიცვან თავიანთის და ქვეყნის ჯან-მრთელობის მარგებელი სისუფთავე.

რაზმაძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Нов. Обоз.“-ეში მეთაური წერილია დაბეჭდილი ტფილისის საკრედიტო საზოგადოების შესახებ. ავტორი ამბობს, რომ ამ საზოგადოების ერთ-ერთის დირექტორის მოქმედებას უკვე მიაქცია ყურადღება სასამართლომაო. საკვირველია მხოლოდ, აქამდე როგორ არ გამოაქვეყნა ეს ამბავი ან საზოგადოების გამგეობამ, ან ზედამხედველმა კომიტეტმა, ან მსესხებელთა ამორჩეულმა კაცებმა და ან კიდევ თვით მსესხებლებმაო.

საზოგადოების ფული სულ 14 ათას მანეთამდეა დახარჯული უკანონოდ და დირექტორის ბ-ნ გარსოევის მიერ რამდენისამე წლის განმავლობაში. ეს ამბავი იცოდა გამგეობამაც, ზედამხედველმა კომიტეტმაც, სარევიზიო კომისიამაც, მაგრამ შარშანდელს კრებას ამის შესახებ არა მოხსენდა-რა. ჭირმა თავი ჰმალა, მაგრამ ბოლოს მაინც არ დაიმალა და ყოველივე გამოაშკარავდა.

მხოლოდ მთავრობის რევიზიამაო, განაგრძობს გაზეთი: მისცა ამ საქმეს მსვლელობა. დაიწყო ფაცა-ფუცი სარევიზიო კომისიამაც, მაგრამ იცით რა დაასკვნა? კომისია და საზოგადოების გამგეობა ჰგონებს, რომ საჭიროა მივმართოთ ბ-ნს გარსოევს და ვსთხოვოთ, ამ წლის 1 დეკემბრამდე შეავსოს 14 ათასი მანათი რომელიც დააკლდა საზოგადოებსს მის უკანონო მოქმედებათა წყალობითაო.

განა ამაზედ მეტად მასხარად აგდება-ღა შეიძლების, გულის წყრომით კითხულობს გაზეთი, საზოგადოების წევრთა ნდობისაო? ამისთანა ფარდათა და რიდეთა გადაფარებით, რასაკვირველია, საქმე არ დაიმალებოდა და დანაშაული არ გამოეპარება სასამართლოსაო.

გაზეთის აზრით, მსესხებელთ უნდა ღონისძიება რამ იზრუნონ და დაიხსნან საზოგადოება განსაცდელისაგან, დაიხსნან მისი კრედიტი, მისი ობლიგაციები დაფოლებისაგან. თუ ამასაც ვერ მოახერხებენ მსესხებელნი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ არამც თუ საზოგადო ინტერესების დაცვის უნარი არა გვქონია, არამედ ისიც არ შეგვძლებია, რომ ჩვენი საკუთარი, კერძო, პირადი ინტერესები მაინც არავის გავაქელვინოთო.

**

Гражданинъ-ის რედაქტორს თ. მეშჩერსკის ძლიერა სურს დაამტკიცოს „როზგის“ სარგებლობა. იქამდეც-კი მიაღწია, რომ პირუტყვთა მწვრთნელს დუროვს მიჰმართა. ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ დუროვი ისე წვრთვნის პირუტყვებსა, რომ მათრახს არა ხმარობსო. ეს ამბავი ძლიერ გაჰკვირვებია მის ბრწყინვალებას, თ. მეშჩერსკის და იმ წამსვე გაქცეულა დუროვთან და უთხოვნია ამ პირუტყვთა პედაგოგისათვის: გეთაყვა შენი აზრი შემატყობინე როზგისა და მათრახის ხმარების შესახებაო. დუროვს ალბად კარგადა სცოდნია, რომ თ. მეშჩერსკი როზგის მომხრეა და ამიტომ არ უწყენინებია. თ. მეშჩერსკი სწერს თავის გაზეთში.

მივმართე პირუტყვთა გამოჩენილს პედაგოგს ა. დუროვს და ვკითხე, როგორა წვრთვნის პირუტყვებს როზგითა, მათრახითა თუ სიმშვიდითა და ალერსიანად მოქცევით.

ყველა ამ სისტემასაო, მიპასუხა დუროვმა: ზოგი პირუტყვი შიშის გამო მემორჩილება, ზოგი ალერსისა, ზოგი ერთ ნატეხ შაქრის გულისთვის და სხვა. ერთსა და იმავე პირუტყვზედ ორსავე სისტემის ხმარება შეუძლებელიაო.

მაშ როგორ შეიძლებაო, ღაღადებს შემდეგ თ. მეშჩერსკი, როზგი არ ვიხმაროთ ისეთს ადამიანზედ, რომელიც, იქნება, დუროვის პირუტყვებზედ უარესიაო.

და შემდეგ იგივე ბრწყინვალე თავადი ამტკიცებს:

საკმარისია, როზგისაგან და მათრახისაგან განვათავისუფლოთ ციმბირში გაგზავნილი ქალები, და იმ წამსვე ანარქია მოხდებაო (?!).

რომელ საპატიმროს უფროს-ღა შეეძლება მაშინ იმ ავაზაკთა ხელში დაჭერა? ავაზაკთა შორის დედაკაცი უფრო მავნებელია (?), უფრო ბოროტია (?), ვიდრე მამაკაცი. როგორ დაიმორჩილებთ ასეთს დედაკაცს, თუ-კი ეცოდინება, ხელს ვერავინ მახლებსო. როგორ ეცდება მაშინ, ეს როზგისაგანა და მათრახისაგან განთავისუფლებული დედაკაცი, მამაკაცნი გავრყვნა და ავაზაკობა და კაცის-კვლა ჩავადენინოვო!

ჯერ ისევ 1865 წელს ციმბირის გენერალ-გუბერნატორებმა ერთ-ხმად აღიარეს, ციმბირში გამოგზავნილ დედაკაცთ როზგით ნუ დავსჯითო, და ეხლა, 1893 წელს, როცა თვით მთავრობასა ჰსურს როზგის ხმარების მოსპობა, მეშჩერსკი ამტკიცებს, შეუძლებელია როზგის გადაგდება, და ამ აზრს ისეთს პედაგოგისა და პსიხოლოგის მოსაზრებაზედ ამყარებს, როგორიცა ბრძანდება პირუტყვთა მწვრთვნელი და ცირკის არტისტი ბ-ნი დუროვი.

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ახალს გამგებელს, ბ-ნს ა. ს. ერმოლოვს უთქვამს მემამულეთათვის, დიდ ყურადღებას მივაქცევ თქვენს მეურნეობის განკარგების საქმესაო. ამის გამო გაზეთ Недѣля სწერს: აუცილებლად საჭიროა მთავრობამ წინ წამოაყენოს ის აზრი, პრინციპი, რომ კერძო მეურნეობა კი არაა ქვა-კუთხედი რუსეთის კეთილდღეობისა, არამედ საგლეხო მეურნეობა, რომელზედაც არის დამოკიდებული სახელმწიფოს ბედი და უბედობაო. ამიტომ—ამბობს გაზეთი, გლეხთა მეურნეობის გაუმჯობესობა და განკარგება უნდა იყოს უმთავრესი საზრუნავი სამინისტროს პოლიტიკისაო. ბოლოს გაზეთი დასძენს საგულისხმო სიტყვებს: ის აუარებელი ფული, რომელიც დაუხარჯავს მთავრობას აქამდე კერძო მეურნეობის გაუმჯობესობისათვის, გლეხთა მეურნეობას რომ მოხმარებოდა, ეჭვი არ არის, რუსეთს თავს არ დაატყდებოდა ის უბედურება მოუსავლობისა და საშინელი სიმშილი, რომლის მოწამედ შარშან ვიყავითო.

## დეპეშა

14 აპრილი

**პეტერბურგი.** საპატიმროთა მმართველობის უფროსი 13 აპრილს პეტერბურგიდგან გაემგზავა და მოივლის მოსკოვს, კიევსა და სხვა ქალაქებს.

**რომი.** მეფემ $^1/_2$ მილიონი გადასდო. ამ ფულით უნდა დაარსდეს ინსტიტუტი იმ მუშათა შვილებისთვის, რომელნიც იმსხვერპლა სხვა და სხვა უბედურებამ. ბარგეზში იმავე ინსტიტუტის სასარგებლოდ გაიმართა ტურნირი, რომელსაც პრინცები მეთაურობდნენ. მაყურებელთა რიცხვი 20,000-მდე იყო.

**ნიუ-იორკი.** ამერიკისა და სხვა ქვეყნების ხომალდები დღეს მოვიდნენ. ნავთ-სადგურში ზარბაზნების სროლით დაუხვდნენ. რუსეთის კრეისერი „Дмитрій Донской“ პირდაპირ ევროპიდგან მოვიდა.

**ბელფასტი.** პროტესტანტ მუშებს ქუჩაში პოლიცია დაეცა; მრავალი მძიმედ დასჭრეს, 13 კაცი შეიპყრეს. აქვე დაიბარეს კიდევ ორი პოლკი ჯარისა.

**ვენა.** ვენგრიის სეიმს მთავრობამ წარუდგინა დღეს ორი კანონ-პროექტი. ეს კანონ-პროექტები შეეხება მეტრიკის წიგნების წარმოებას. ამავე კანონ-პროექტებით ებრაელთა სარწმუნოებას ისეთივე უფლება მიენიჭება, როგორც ქრისტიანულს; ამ გვარად ნება დართული იქნება ქრისტიანთათვის ებრაელთა სარწმუნოების მიღება.

**სტამბოლი.** დღეს, ხონთქარის მიპატიჟები, სტამბოლში მოვიდნენ ვიცე-ადმირალი ვინიე და 100 აფიცერი ხმელთა-შუა ზღვის საფრანგეთის ესკადრისა.

## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს ქ. ტფილისის ამომრჩეველთ, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანები, 1893—1897 წლისთვის, მოხდება 16 მაისს, ხოლო 16 აპრილიდგან ქალაქის გამგეობაში მიიღება ამომრჩეველთაგან სიები იმ კანდიდატებისა, რომელთაც ხმოსნებად დაასახელებენ.

დაწვრილებით წეს-რიგი კანდიდატების სიების წარდგენისა და საზოგადოდ არჩევნის შესახებ, აგრეთვე საარჩევანო კრებაზედ დასწრების ბილეთებისა და კანდიდატების სიების ბლანკების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობაში 16 აპრილიდგან ყოველ დღე, ორ საათამდე, კვირა უქმის გარდა.

(3—I)


## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საagენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—21) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(**ძირის ფული 1.000,000 მან.**)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თვეე-და-თვეე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—13) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

## საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—16) აგენტი დ. ქ. თუთაევი



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.